ხაშურის მოამბე

№33 (164) 20 აგვისტო, ორშაბათი, 2018 წელი

საქართველოს მთავრობის დადგენილება №408

2018 წლის 8 აგვისტო ქ.თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

მუხლი 1. „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2018 წლის 13 აგვისტოდან 2018 წლის 29 დეკემბრამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1800-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დასწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციალურ სამსახურში (შემდგომში –სპეციალური პენიტენციური სამსახური) გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1395-ით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1370-ით.

5. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულებამდე.

8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, რაიონის გამგეობისა (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში – აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში, განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აგხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდიაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ მინისტრი მამუკა ბახტაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია მერის ბრძანება № 1665

09 / აგვისტო / 2018 წ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" მე–20, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 28–ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 08 აგვისტოს № 408 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ" თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად, 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის პოერიოდში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;

2. სამხედრო ძალებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელები,რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში,მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 08 აგვისტოს № 408 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ" პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტის შესაბამისად,აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს-სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გურასპაშვილი–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: მიხეილ ბარბაქაძე–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე–შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე–საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ მახარობლიძე–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

ვასილ არჩვაძე–ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი; კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო –ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 08 აგვისტოს № 408 დადგენილების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2018 წლის 13 აგვისტოდან 2018 წლის 29 დეკემბრამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

8. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

9. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

სავალდებულო სამხედრო სამსახური: პატრიოტული გრძნობების დეფიციტი, პასუხისმგებლობის თავიდან არიდება თუ გაუმართავი საკანონმდებლო სისტემა?

სამხედრო სავალდებულო სამსახურის ირგვლივ შექმნილი ვითარებამ, უშუალოდ ჩვენს მუნიციპალიტეტში, რომელიც სავალდებულო სამსახურის თავიდან აცილებას ეხებოდა, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მოსახლეობაში. საქმე ეხებოდა პოლოტიკური ორგანიზაცია „გირჩის" მიერ ჩამოყალიბებულ რელიგიურ ორგანიზაციას „ "საქართველოს ქრისტიანული, ევანგელური, პროტესტანტული ეკლესია – ბიბლიური თავისუფლება", რომელიც ახალგაზრდებს აკურთხებდა მღვდელმსახურებად, ამით კი სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებაში ეხმარებოდა, კანონში არსებული ჩანაწერი მათ ამის საშუალებას, ფაქტია, რომ აძლევს. უმთავრესად, ამ საკითხში უკეთ გასარკვევად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსს, მიხეილ ბარბაქაძეს ვესაუბრეთ, რომელმაც რედაქციასთან საუბარში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ სხვა მნიშვენლოვანი ინფორმაცია მოგვაწოდა.

მიხეილ ბარბაქაძე: საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმა განისაზღვრება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით. სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას ექვემდებარება 18-დან 27 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვაზე და რომელსაც არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების ან გაწვევის გადავადების საფუძველი. გაწვევით ვადიანი სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 12 თვეს. გაწვევა ხდება თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ქვედანაყოფებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებში და სასჯელაღსრულების პენიტენციალურ სისტემებში.

- რა პირობებს სთავაზობს სახელმწიფო სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებს?

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გაწვეულ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს, საწყისი საბრძოლო მომზადების პერიოდში, დასვენების დღეები განისაზღვრება არანაკლებ სამი შაბათ-კვირა, ხოლო აღნიშნული მომზადების დასრულებიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ვადის ამოწურვამდე დასვენების დღეები განისაზღვრება ყოველკვირეულად ორი დღე - შაბათი და კვირა. განსაზღვრული დასვენების დღეების გამოყენების უფლება შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს წვრთნებში ან სწავლებებში, ასრულებს საყარაულო სამსახურს ან სამხედრო მოსამსახურის მიმართ მოქმედებს შესაბამისი საჯარისო წესდებით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, რომელიც სამხედრო ნაწილიდან დათხოვნის უფლების განსაზღვრული ვადით ჩამორთმევას ითვალისწინებს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გაწვეულ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს სამსახურის გავლის პერიოდში, შეუძლია ისარგებლოს შვებულებით არაუმეტეს 15 დღის ოდენობით, ხოლო ოჯახური მდგომარეობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზის არსებობისას მას შეიძლება მიეცეს დამატებითი შვებულება, არაუმეტეს 10 დღის ოდენობით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გაწვეულ სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურის ყოველთვიური წოდებრივი სარგო შეადგენს 60 ლარს.

- როგორც ვიცით, დიდი ხანია ამ სფეროში გიწევთ სამსახური, შეიცვალა თუ არა ბოლო პერიოდში გასაწვევთა რიცხვი წინა წლებთან შედარებით?

- გასაწვევთა კონტიგენტი გასულ წლებთან შედარებით, რათქმაუნდა, ნაკლებია. ეს მონაცემები ძირითადად განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, უმეტესწილად, სტუდენტებს, რომლებიც სწავლას აგრძელებენ, ზოგიც საზღვარგარეთაა, გადავადება ეხებათ ყველა საფეხურზე - იქნება ეს ბაკალავრიატი თუ მაგისტრატურა, ნაწილს, სამხედრო სამსახურთან შეუთავსებელი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ა.შ.

- რა შემთხვევაში ეხებათ გადავადება სამხედრო სავალდებულო ასაკს მიღწეულ მოქალაქეებს?

– გადავადება შეეხებათ ოჯახებს, რომლებსაც ერთი შვილი ჰყავს, აგრეთვე, თუ პიროვნება არჩევნების დროს დარეგისტრირებულია კანდიდატად. გადავადების ვადა განისაზღვრება 3 წლით.

- რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე თავიდან იცილებს სავალდებულო სამხედრო სამახურს?

- წვევამდელის მიერ სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება, მათ შორის, ავადმყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიანებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხვაგვარად მოტყუებით, დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობით. სამხედრო სამსახურის თავიდან არიდების მცდელობისთვის კანონით განსაზღვრული რეგულაციები ამოქმედდება. პირველ რიგში, ასეთი პიროვნების საქმე გადაგზავნილი იქნება პოლიციის ორგანოებში, შემდომში სასამართლოში და 176 პრიმა მუხლის საფუძველზე, დაეკისრება ჯარიმა 1000 ლარის რაოდენობით, რაც გულისხმობს სამხედრო ვალდებულების თავიდან აცილებას.

- კანონის თანახმად, გასაწვევი კონტიგენტი, წინასწარ გადის სამხედრო სამედიცინო შემოწმებას..

- ადგილობრივად, ხაშურში, არ არის მსგავსი სამედიცინო კომისიები. როდესაც გასაწვევი კონტინგენტი თბილისში გადაგყავს, იქ უტარდებათ ყველანაირი სამედიცინო შემოწმება. შექმნილია ცენტრალური სამხედრო სამედიცინო-საექსპერტო კომისია, სადაც, მაღალკვალიფიციური ექიმების მიერ, მათ უტარდება ყველანაირი გამოკვლევა: სისხლის საერთო ანალიზი, რენტგენი, ფულოგრაფია. იმ შემთხვევაში, თუ საეჭვოა პიროვნების სამხედრო სამსახურისთვის ვარგისიანობა, იგზავნება სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, დამატებითი გამოკვლევებისათვის, სრულიად უფასოდ, ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო სწევს.

- შევეხოთ, ბოლო დროს, პოლიტიკური ორგანიზაციის ,,გირჩის" მიერ მღვდელმსახურებად დარეგისტრირებული ახალგაზრდების თემას, რის შედეგად ისინი თავს არიდებენ სავალდებულო ჯარს..

– 2017 წლის შემოდგომაზე 19-მა პიროვნებამ წარმოადგინა მოწმობა, სადაც მღვდელმსახურის წოდება აქვთ მინიჭებული, ხოლო, 2018 წელს, უკვე 176 ადამიანმა წარმოადგინა აღნიშნული მოწმობა. კანონში „სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ", 30-მუხლში არის მითითებული, რომ მღვდელმსახურებს ან სხვა სასულიერო პირებს გადავადება ეხებათ.

- ბევრ ქვეყანაში, ასეთ დროს, ალტერნატიული სამსახურები არსებობს. ჩვენთან თუ მოქმედებს მსგავსი კანონი?

– დიახ, იმ შემთხევაში, თუ პიროვნება, რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, უარს ამბობს სამხედრო სამსახურზე, ჩვენ მათ ვაგზავნით ალტერნატიულ სამსახურებში. მიმდინარე წელს, მაგალითად, ასეთი 19 პიროვნება დავასაქმეთ. აქედან 7 იეჰოვას მოწმე. 2 პიროვნება ამჟამად მსახურობს ა(ა)იპ „სავანეში", ხოლო, 4 – ა(ა)იპ „ხაშურსერვისში". მუშაობის პერიოდი არის 18 თვე და აგრეთვე, ეძლევათ მინიმალური ხელფასი – 20 ლარი

ბოლოდროინდელმა ტენდეციებმა ცხადყო, რომ ახალგაზრდებს სამხედრო სავალდებულო ჯარის გავლა აღარ სურთ, რაც უამრავ შეკითხვას ბადებს. რას უნდა გამოეწვია ამგვარი მდგომარეობა – პატრიოტული გრძნობების დეფიციტს, ახალგაზრდების სიზარმაცეს, პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას თუ გაუმართავ საკანონმდებლო სისტემას?!

თ. ახალკაცი

ტრენინგი ბორჯომში

ბორჯომში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადგილობრივ დონეზე საჯარო სექტორსა და კერძო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის მექანიზმები სოციალური მომსახურებების სფეროში",რომელსაც სამცხე ჯავახეთის და შიდა ქართლის რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის 27 წარმომადგენელი დაესწრო. ტრენინგს დაესწრნენ და კოლეგებს გამოცდილება გაუზიარეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ცერცვაძემ და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა.

ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: სოციალური მომსახურებების ა(ა)იპ-ებისგან შესყიდვის უპირატესობები;ადგილობრივი თვითმმართველობების ზოგადი უფლებამოსილებები,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონით დადგენილი შესყიდვის მექანიზმები და გამონაკლისები;საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ" და სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) ფორმები; სახელმწიფო დახმარების (სუბსიდირების) მუნიციპალური მაგალითები;,,საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ" კანონი; პროექტის კომისიური დაფინანსება საკრებულოს ნორმატიული აქტის საფუძველზე;

მუნიციპალიტეტებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელება თანადაფინანსების საფუძველზე პროექტის ფარგლებში საქართველოს 7 რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენელთათვის 4 ტრენინგი უკვე ჩატარდა, რომელსაც ჯამში 70-ზე მეტი ადამიანი დაესწრო. . პროექტი „პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად" ხორციელდება „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის" ASB Georgia მიერ. პროექტს ახორციელებს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი" (CHCA) და კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი (KRDF). პროექტის დონორია ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში.

მოგზაურობა სამ დროში

მწერლის კალამი ღვთისაგან არის კურთხეული: სასწაულების მოხდენა შეუძლია! ისე გადაგიყვანს წარსულში, ან მომავალში, თითქოს კარის მეზობელმა გადაგვიყვანა თავის ეზოში, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან; კარგა ხნის გარდაცვლილ ძვირფას ადამიანებთანაც შეგახვედრებს, გულს მოგაოხებინებს მათთან ურთიერთობით, მათი საუბრების მოსმენით, იმ მოვლენების ხელახლა მხილველად გაქცევს, რომელიც შენს გულსა და გონებაში უკვე მინავლული კოცონივით არის და ხელახლა ააგიზგიზებს მას.

ასეთი ფიქრი მაშინ მომეძალება ხოლმე, როდესაც ჩემთვის საინტერესო წიგნს ვკითხულობ, დოკუმენტურ პროზას თუ ვხვდები, მით უფრო! ასეა ახლაც, როცა ჩემი ორი მეგობრის შესანიშნავი წიგნები წავიკითხე და ფიქრებით ისევ იქ ვარ, იმ წიგნებში...

ტიციანელო

„ცისფერყანწელები ქართველი მკითხველისათვის დღემდე რჩებიან სიცოცხლეზე, პოეზიაზე, სამშობლოზე შეყვარებულ შემოქმედთა ერთგვარ სიმბოლოდ. ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ წიგნში კიდევ ერთხელ გაგვეცოცხლებინა ტი-

ციანისა და მისი მეგობრების უაღრესად საინტერესო ცხოვრება“, - წერს პოეტი და მეცნიერი მურად მთვარელიძე თავისი ახალი წიგნის - „ტიციანელოს“ ანოტაციაში.

ახლა, იმის გარჩევას არ შევუდგები, რომელ ჟანრს უფრო მიეკუთვნება ეს უაღრესად საინტერესო წიგნი: აკადემიურ მეცნიერულ გამოკვლევას, კრიტიკული ეტიუდების კრებულსა, თუ ესსეისტურ ლიტერატურას, მაგრამ მხატვრული თხზულებასავით რომ იკითხება, უდავოა.

ძველი ჩინური წყევლაა ერთი: შენ იცხოვრე საინტერესო დროშიო; რატომ, ნეტავი? განა ჩვენ კი გვინდა უინტერესო დროში ცხოვრება? არა, სხვა შინაარსია აქ ნაგულისხმევი, ქვეტექსტში, რა თქმა უნდა! ისტორიულად საინტერესო დროს გულისხმობს მაწყევარი, რადგან ისტორიისათვის საინტერესო ის დროა, რომელიც დიდი ძვრებითა და ქარტეხილებით, ტრაგედიებითა და დრამებით არის აღსავსე. ჩვენ ვკითხულობთ ინტერესით იმ დროების ისტორიას, თორემ მათი მონაწილენი არაადამიანურ ტანჯვასა და ვაებას განიცდიდნენ.

სწორედ ასეთ საინტერესო დროში ცხოვრება არგუნა განგებამ ტიციან ტაბიძეს. მისი ბავშვობა, ყრმობა და მოწიფულობა იმ დიდი და სასტიკი რევოლუციური გარდაქმნების პერიოდს დაემთხვა, რომლის ეპიცენტრი იმდროინდელი რუსეთის იმპერია და მისი მემკვიდრე - საბჭოთა კავშირი იყო. ამიტომ არ შეიძლება ბავშვის, ყრმისა თუ ჭაბუკის სულიერ სამყაროზე მთელი სიმძაფრით არ ასახულიყო ის სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმები, რაც მომავალი პოეტის საარსებო გარემოში მიმდინარეობდა, მით უფრო, რომ მამამისი სასულიერო პირი - მღვდელი იყო.

მურად მთვარელიძე, თვითონაც შემოქმედი და მოაზროვნე კაცი, ძალიან დამაჯერებლად და საინტერესოდ გვიჩვენებს, თუ რა როლი შეასრულა ბავშვობის ხილვებმა ტიციანის პოეტური მრწამსის ჩამოყალიბებაში. ჩვენ, მართლაც, „ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“ და ყოველთვის როდი გვაქვს გაცნობიერებული სად, რომელ მოსახვევში წავაწყდებით იმ ქვას, რასაც ბავშვობაში ფეხი წამოვკარით და შუბლზე კოპი დაგვაჯდა. „პალიასტომის მზეს ტოროლებად მოჰყვებიან წარღვნის დანატოვარი ბაყაყები“ (ტიციანი). ეს ფრაზა მურად მთვარელიძეს ტიციანის 1934 წელს დაწერილი ნარკვევიდან აქვს მოტანილი. ამ დროს ტიციანს კარგა ხნის წინ აქვს დამთავრებული ბავშვობა, მაგრამ საშინელების როგორი განცდა აქვს აღბეჭდილი ცნობიერებაში! ესსეისტი და მწერალი მართლაც კარგად იცნობს შემოქმედის ბუნებას, ამიტომ, ჩემი აზრით, ტიციანის ბავშვობისდროინდელ განწყობილებებს ზუსტ განზოგადებას უძებნის: „ამ ბაყაყებს ტიციანის მხატვრულ ნააზრევში თავისი ხმა აქვთ. ისინი ორპირის ორკესტრანტები არიან და თითქოს მათი ყიყინის მელოდია ჰქმნის საერთო სურათს, რომელიც ამ კუთხეს სხვა დანარჩენებისგან ასე გამოარჩევს“, - წერს წიგნის ავტორი და იქვე მოაქვს ამ აზრის საილუსტრაციო ნაწყვეტი ტიციანის ლექსიდან „ორპირის ოქროპირი“:

,,ეს არ არის მართლა ოქროპირი,
ეს მხოლოდ ორპირის ბაყაყია,
დიდებულად შვენის სამეფო პორფირი,
მე თვითონ გამზარდა ტიციან ტაბიძე
პოეტი ავყია“

ძალიან საინტერესოდ არის ნაჩვენებ-გაანალიზებული ტიციან ტაბიძის მსოფლაღქმა მშობლიურ სოფელ-გარემოსთან დამოკიდებულების მაგალითზე. კითხულობ ამ ნიჭიერი კაცის ოსტატურად დაწერილ ესსეს (ესსეებს!) და გჯერა, რომ შეიძლება უსაზღვროდ გიყვარდეს ის ადგილი, „სადაც შობილხარ, გაზრდილხარ“, მიუხედავად მისი საზიზღარი აწმყოსი. არა და, რა ნატურალისტური სიზუსტითა და სიმძაფრით არის ნაჩვენები პოეტის მშობლიური სოფლის შემზარავი ბუნება, თვითონ ტიციანის მიერ, რა თქმა უნდა. „ვერ მოასწრებს ბავშვი ფშანთან წაქცევას, რომ უჟმური თან აჰყვება.

ვინ იცის, იქნებ ბავშვი არც წაქცეულა, მაგრამ უჟმური მაინც აჰყვება...

დაჰკრავს ეს კაცი მიწას ბარს და ამოვა წყალი, მიწას უხარია ხაშმის და ბალღამის ამოქცევა, თვითონ მიწას აწუხებს უჟმური“, - მოჰყავს ასეთი ეპიზოდი წიგნის ავტორს ტიციანის ნარკვევიდან „ორპირი“. დანტეს „ჯოჯოხეთშიც“ კი არ არის უფრო შემზარავი პასაჟი. „მისი ორპირი გზაფრავს და, ამავდროულად, მეტი თანაგრძნობით განგაწყობს ავტორისადმი“, - გვეუბნება ავტორი და მისი ეს მოსაზრება დამაფიქრებელია...

რატომ განგვაწყობს თანაგრძნობით? განა პოეტი ამ „საშინელ“ სოფელზე უიმედოდ არის მიჯაჭვული, როგორც ამირანი კავკასიის ქედის ერთ სალ კლდეზე?

„ტიციანელოს“ ავტორი, სხვათა შორის, კარგი ანალიტიკოსია და ძალიან საგულისხმო პარალელს ავლებს იგი ტიციანის თანასოფლელის, დიდი გალაკტიონის რომანტიკულ განცდებთან, რასაც მშობლიური სოფლის გახსენება ბადებდა მასში: „წინაპართაგან წასულა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული... მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში“... და ა. შ. სად არის აქ, ან ჭინკა, ან უჟმური, ან ხაშმი და ბალღამი?

არა, ჭყვიში როდია ჯოჯოხეთი, ხაშმითა და ბალღამით სავსე, არამედ ის სოციალურ-პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც იმდროინდელ რევოლუციურ საბჭოეთში, მათ შორის საქართველოში იყო. ამის განცდა გადმოაქვს განწირულობის სულისკვეთებით მოცულ პოეტს თავის მშობლიურ გარემოში, ორპირის სანახებში. სწორედ ასე რომ იყო, - როგორც მურად მთვარელიძე აღნიშნავს, - „თავისი პოეტური თუ ბოჰემური ცხოვრების ზენიტში მყოფმა 1919 წელს ყველას გასაგონად განაცხადა:

,,ლოტრეამონის მალდადორი, უშნო გომბეშო,
კოსმიურ ტალახს დასტიროდა ჩვენს ორღობეში,
ყველა პანთეონს, თუ მერგება, თვითონ დიდუბეს,
მე ვარჩევ მაინც ჩემ ორპირის გამომპალ უბეს“.

და ეს მაშინ, როცა მისივე სისხლი და ხორცი, უკვე სივრცეებს ეჭიდებოდა და დაბეჯითებით ირწმუნებოდა: .. მე კი ჩემი დამიფარავს მთაწმინდა“-ო. არა და, ორივეს რიონის ტალღები უნანავებდა, და უკვე დავაჟკაცებულნიც, რიონის პირად უყვებოდნენ ერთმანეთს საკუთარ შთაბეჭდილებებს“, - წერს წიგნის ავტორი.

ვფიქრობ, აბსოლუტურად მართალია ესსეისტის პოზიცია!

წიგნის ცალკეულ ესსეისტურ ნარკვევებსა, თუ ლიტერატურისმცოდნეობით ჩანაწერებში, ლირიკულ ჩანართებსა, თუ სულაც სუბიექტურ პუბლიცისტურ გადახვევებში ხშირად ილანდებიან პაოლო იაშვილისა თუ ვალერიან გაფრინდაშვილის, ვლადიმერ მაიაკოვსკისა თუ სერგეი ესენინის და სხვათა და სხვათა კოლორიტული ფიგურები, რომელთა გამოჩენას თან ახლავს იმ ეპოქის



(დასასრული IV გვერდზე)

მოგზაურობა სამ დროში

(დასასრული)

ჰეროიკაც და ზაფრაც, სევდაც და ოპტიმიზმიც და...მუდამ და მოუცილებლად განწირულობის „ბედი მდევარის“ მოახლოებული სუნთქვა...

ტიციან ტაბიძეზე ბევრი მოგონება, მისი შემოქმედების კრიტიკული შეფასება, მონოგრაფიული გამოკვლევა წამიკითხავს, მაგრამ ჩემს ცნობიერებაში მისი სახე ასე მონუმენტურად არავის გამოუკვეთავს; თუმცა, შესაძლოა, ამ წიგნის ავტორისეული მიზანი იქნებ სულაც არი იყოს პოეტის მონუმენტური ფიგურის წარმოჩენა. შემოქმედმა კაცმა ყოველთვის როდი იცის, როგორი იქნება მისი შემოქმედებითი ძალისხმევის საბოლოო მიზანი... ერთი ასეთი მოგონება არსებობს პუშკინზე, რაც ჩემი ნათქვამის არგუმენტად უნდა გავიხსენო: ერთ დილით, პუშკინის სამუშაო კაბინეტში მისი ცოლი შესულა და მომტირალი ქმარი რომ დაუნახავს, შეშფოთებულს უკითხავს - რა მოხდა, რა დაგემართაო? წუხელ ტატიანამ საბოლოოდ უარი უთხრა ონეგინსო,- უპასუხია დადარდიანებულ დიდ პოეტს. (აქ მისივე შედევრი „ევგენი ონეგინის“ პერსონაჟზეა საუბარი, ცხადია!).

აი, ასეთია შემოქმედებითი ადამიანის ჭეშმარიტი ნატურა!

ბევრი რამ შემეძლო მეთქვა მურად მთვარელიძის ამ ახალ წიგნზე, მაგრამ რამდენიც უნდა გესაუბროთ, მიახლოებითაც ვერ გადმოგცემთ იმ ინტელექტუალურ სიამოვნებას, რაც განვიცადე მისი კითხვისას. არა და, ძალიან მინდოდა ეს!

* * *

ჟურნალისტური ჩანაწერები

პუბლიცისტიკა მწერლობაა და ცოტა უფრო მეტიც, რადგან პუბლიცისტს საზოგადოების წინაშე უფრო მაღალი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ჟანრში მომუშავე მწერალს. იგი პასუხს აგებს თავის ნათქვამსა და



დაწერილზე, როგორც ზნეობრივად, ისე, არც თუ იშვიათად, სამართლებრივადაც. ამიტომ ამბობდა ერთი საქვეყნოდ ცნობილი პუბლიცისტი: პუბლიცისტობა პროფესია არ არის, იგი ბედისწერააო. უნდა დავეთანხმოთ ამის მთქმელს: ჭეშმარიტად!

აი, ჩემს წინაა ახლადგამოცემული „ჟურნალისტური ჩანაწერები“, რომელმაც ეს-ესაა არცთუ სასიამოვნო, მაგრამ ჰეროიკულ ახლო წარსულში დამაბრუნა. თუმცა რა, ეს ჩვენი გუშინდელობა, ზოგისთვის ჰეროიკული იყო და ზოგისთვის თავს ლაფის დასხმა და დირსების აყრა. ეს იმაზეა დამოკიდებული ვინ როგორ უყურებს წარსულს: სამუდამოდ დავიწყების მტვერწაყრილ რეალობას, თუ მუდამ ჩენს თანამდევ და აქტიურად მოქმედ ისტორიას.

ჩემთვის ისტორიული წარსული, გუშინდელია იგი თუ საუკუნისწინანდელი, დღევანდელობაზე უფრო ცოცხალი და ახლობელია. სწორედ ამიტომ, აწმყოზე გულგატეხილი და იმედგაცრუებული, წარსულს ვაფარებ ხოლმე თავს. ახლაც, ეს ორი დღეა, სწორედ, წარსულში ვარ თავშეფარებული, იმ წარსულში, საიდანაც მე თვითონ მოვედი.

ამისათვის მადლობას ვუხდი წიგნის ავტორს, პოეტსა და პუბლიცისტს, მაყვალა ხაჩიძეს.

80-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა მაყვალა ხაჩიძე პრესაში და მაშინვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ეს ნიჭიერ ადამიანებს შეუძლიათ, რადგან მხოლოდ ნიჭიერება გამოარჩევს პიროვნებას უზარმაზარი ნაცრისფერი მასიდან. 80-იანი, განსაკუთრებით კი 90-იანი წლებიდან პრესის ფურცლებზე თავის გამოჩენა და მკითხველის ყურადღების მიპყრობა ადვილი არ იყო. იმ პერიოდში პუბლიცისტობის ჟინმა აიტანა ყველა, ვინც 33 ქართული ასოს გამოყვანა ისწავლა. გამოდიოდა ახალი, ნაირ-ნაირი დასახელებისა და ორიენტაციის ჟურნალ-გაზეთები, საკუთარ სარდაფებსა და ავტოფარეხებში მოწყობილ სტამბებში დაბეჭდილი წიგნები და..., თუ დამიჯერებთ, კედლის გაზეთებიც!

ამ, მართლაც, ნაცრისფერ მასაში მაყვალა ხაჩიძე გამოირჩა საკუთარი ორიგინალური ხმითა და მამულიშვილური გულით, მტკიცე ეროვნული პოზიციითა და მოქალაქეობრივი პრინციპულობით. არ ვიცი, ჰქონდა, თუ არა მას მკვეთრად გამოძერწილი სამოქმედო დევიზი, მაგრამ შეეძლო ყოველგვარი უხერხულობის გარეშე საკუთარ პრინციპად გამოეცხადებინა დევიზი: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!“

ვკითხულობ მის „ჟურნალისტურ ჩანაწერებს“ და ერთმანეთს სწრაფად ენაცვლებიან ჩემში ჰეროიკული აღტკინება და იმედგაცრუებით გამოწვეული გულისტკივილი, მომავლის იმედი და უიმედობა.

აი, ავტორმა, ამ ორმოციოდე წლის წინ, ჩემთვის უბედნიერეს დროში - 1978 წლის 14 აპრილს რუსთაველზე დამაბრუნა...

...უზარმაზარი სტუდენტური დემონსტრაცია, უწყვეტ ნაკადად რომ მოედინებოდა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ შეკრებილი ზღვა ხალხი და მათთან ერთად ფეხზე მდგომი მთელი საქართველო... ასე, ერთ მუშტად შეკრულ ერსა და ბერს რომ ვხედავდით, სიამაყის ცრემლები გვქონდა ჩამდგარი თვალებში.

რა უნდოდათ, რას მოითხოვდნენ? მარიხუანათი გამოთაყვანების უფლებას, თუ გიჟი სააკაშვილის დაბრუნებას, ახლანდელი არასამთავრობო ჩათლახებივით? არა! ქართული ენის სტატუსის შენარჩუნებისთვის დაიძრნენ ისინი მთავრობის სასახლისაკენ! მაშინ სხვა დრო იყო და ამგვარი ქმედება სიცოცხლის რისკს თუ არა, კარიერის დასასრულის საფრთხეს მაინც შეიცავდა და მაინც...

მაყვალა ხაჩიძეს მხატვრულ-პუბლიცისტური ხერხებით აქვს გადმოცემული დროის სუნთქვა და მაჯისცემა. ამიტომ მის წერილებს რომ ვკითხულობ, ზუსტად ის ნაცნობი განცდები მეუფლება, რაც ამ ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში გამოვიარე.

მივყვები ქრონოლოგიურად დალაგებულ მის წერილებს და ჩემს ფეხქვეშ წლები გარბიან „როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“ (გამსახურდია). ჯერ სიმშვიდეა მაყვალა ხაჩიძის წერილებში, 80-იანი წლებია, უძრაობა. ნეტავი ვის მოუვიდა თავში, უძრაობა ეწოდებინა ამ წლებისთვის! ნეგატიური აზრით, რა თქმა უნდა! ახლა, ჩვენი ხალხის (სხვებისაც!) მოძრაობას რომ ვუცქერი, გული სინანულით მევსება: ნეტავი არ ავმოძრავებულიყავით და ნახევარი საქართველო ლუკმაპურის საშოვნელად არ გადახვეწილიყო უცხოეთის ქვეყნებში! ეეჰ! რას ვიზამთ, ასეთი ყოფილა ჩვენი ხვედრი.

ეს „ეეჰ“ განწყობა თანდათან შემოდის ამ წიგნის კითხვისას და 90-იანი წლების მიწურულში თვით მის ავტორსაც სიმწრით აღმოხდა: „მაინც ვინა ვართ ეს ქართველები?!“ (გვ. 183). სიმწრით, - მეთქი, ეს მე ვთქვი, თორემ მაყვალა ხაჩიძე იმდენად კეთილშობილი, მიმტევებელი და ოპტიმისტია, რომ ეს თითქმის ილიასეული ფრაზა მსუბუქ იუმორთან შერწყმული სატირის ტონით მოაქვს ჩვენამდე, თუმცა წერილში იმდროინდელი „კეთილდღეობის“ სურათი ზუსტად არის დახატული.

ისე, კი ვთქვი, ჩვენი პუბლიცისტი კეთილშობილი და მიმტევებელია, ამიტომაც თითქმის ილიასეული ფრაზა მსუბუქად მოიტანა ჩვენამდე-მეთქი, მაგრამ ახლა ისიც უნდა ვთქვა, რომ იუმორი პუბლიცისტიკაში ბასრი იარაღია, რადგან, „ვისაც უკვე აღარაფრის შიში აქვს, სიცილისა იმასაც ეშინია“-ო - გაგიგონიათ ალბათ. ჰო, და მაყვალა ხაჩიძის პუბლიცისტურ არსენალშიც არის ეს ბასრი იარაღი...

ამ წიგნში არის ერთი მცირე მოცულობის წერილი, რომელსაც „პოლიციელის რეზოლუცია“ ჰქვია. აქ ავტორს ერთ უწყინარ სიტყვაში - „წადი“ - ნაჩვენები აქვს ჩვენში იმ დროს გაბატონებული ის დანაშაულებრივი საკადრო პოლიტიკა, როდესაც პოლიციის უფროსებმა განცხადებაზე რეზოლუციის დაწერაც კი არ იცოდნენ (ვითომ მინისტრებმა კი იცოდნენ პოლიციის უფროსებზე მეტი? ერთმა შინაგან საქმეთა მინისტრმა პრესკონფერენციაზე ამაყადა განაცხადა, რაც მე მინისტრად ვმუშაობ, კრიმინალი ჩვენთან ძალიან კარგად არისო.).

დარწმუნებული ვარ, ამ წიგნს ბევრი მკითხველი ეყოლება, ამიტომ დაწვრილებით მის ცალკეულ თემებსა და პრობლემებზე არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, ხოლო ამ წიგნის რედაქტორის წინასიტყვაობიდან კი უნდა გადმოვწერო რამდენიმე აბზაცი: „მაყვალა ხაჩიძის მხატვრული თუ პუბლიცისტური წერილები მაშინდელი საზოგადოების უაღრესად აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა და ისინი დღესაც დიდი ინტერესით იკითხება...

...არ დარჩენილა არც ერთი სფერო, რომელსაც მაყვალას კალამი არ შეხებოდა, იქნება ეს მშობლიური ენა, ისტორიული ძეგლები, ლიტერატურული თუ მუსიკალური ცხოვრება, სპექტაკლები,... ეროვნული მოძრაობა... აფხაზეთი და სამაჩაბლო, ლტოლვილთა სევდა...

...ყველა ეს წერილი ერთ დიდ მიზანს - საზოგადოების ზნეობრივ და სულიერ ამაღლებას ემსახურება.“

იცით ვინ არის ამ საყურადღებო „ჩანაწერების“ რედაქტორი? „ტიციანელოს“ ავტორი, ვიზეც ცოტა ზემოთ უკვე მოგახსენეთ ორიოდე სიტყვა.

ზურაბ ცუცქირიძე

P. S. ყოველდღიურ მეტყველებაში, ხშირად პრესიდან და ტელევიზიიდანაც ისმის: ,,ადგილობრივი ინტელიგენცია“, ,,ამა თუ იმ კუთხის მწერლობა“, ,,რეგიონული ჟურნალისტიკა“ ან ,,ადგილობრივი ჟურნალისტები“ და ა. შ. ასეთი ცნებები შეიძლება კნინობით შინაარსს არც შეიცავდნენ (თუმცა, მეტწილად, სწორედაც რომ კნინობითი მნიშვნელობით ამბობენ და წერენ ამას!), მაგრამ, ამის მიუხედავად, ამგვარი განსაზღვრება პრინციპულად მცდარია. ჟურნალისტი, მწერალი თუ მხატვარი, მეცნიერი თუ მუსიკოსი შეიძლება იყოს კარგი, საშუალო ან ცუდი, დედაქალაქშიც და პროვინციაშიც, სოფელშიც და ქალაქშიც. ვაჟა-ფშაველა ფშავში, ჩარგალში წერდა თავის შედევრებს, ხოლო ზოგიერთი ბელტიგლეჯიაშვილი, თუ მითაგვარია შესაძლებელია დედაქალაქის ცენტრში ჯღაბნიდნენ თავიანთ ოცობედა ,,თხზულებებს“, მაგრამ მწერლებად არავინ მიიჩნევდა მათ.

არც რაიმე შეღავათი ეძლევათ ,,ადგილობრივებს“. შექსპირის ერთი პერსონაჟის ნათქვამი ცოტა რომ შევცვალო (მაპატიებს შექსპირის სული, ალბათ!), ასე შეიძლება დავასკვნათ: სულელი კაცი თბილისშიაც სულელი არის. ისე, რომ კარგი მწერალი, თუ ჟურნალისტი, მეცნიერი, თუ ხელოვანი ხაშურში ცხოვრობს, თუ თბილისში კარგი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, მეცნიერი, თუ ხელოვანია, ცუდი კი... ,,გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რა გინდ მაღალ თახჩაშიაც შაიდოს!“ (საიათნოვა).

ზ. ც.

ინფრასტრუქტურის სამინისტროში შიდა და ქვემო ქართლში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტი თვითმმართველობებთან ერთად განიხილეს

ახალი ფორმატის ფარგლებში,დეტალურად განვიხილეთ ორი რეგიონის პრიორიტეტები, პრობლემური საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები. შევთანხმდით, რომ მნიშვნელოვანია, ადგილებზე არსებობდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი და სტანდარტების შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია კულტურის, სპორტის, სამედიცინო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და გამართული მუშობა“ - განაცხადა მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა,მერებმა მნიშვნელოვან საჭიროებებსა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაზე ისაუბრეს

მსგავსი ფორმატის შეხვედრები სამინისტროს ხელმძღვანელობამ უკვე გამართა მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების წარმომადგენლებთან

ესტრადის გამოჩენილი მომღერალი ქვიშხეთიდან

ქვიშხეთში, იქ, სადაც ერთ დროს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის პიონერთა ბანაკი იყო, გიგიტაშვილების უბანში, XIX საუკუნის 80-იან წლებში, ახალგაზრდა იურისტი კონსტანტინე ჯაფარიძე ცხოვრობდა ოჯახთან ერთად. იგი არა მარტო იურისტი იყო, არამედ ლექსებსაც წერდა და მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მის მიერ არის თარგმნილი მ. ლერმონტოვის „დემონი“, რომელიც 1928 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა.

კონსტანტინე ჯაფარიძის ოჯახში, 1901 წელს, 11 თებერვალს, დაიბადა შემდგომში საბჭოთა ესტრადის გამოჩენილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქეთო ჯაფარიძე, რომლის ბოშური და რუსული რომანსების მსმენელი და თაყვანისმცემელი 30-იან წლებში იყო იოსებ სტალინი.

10 წლის რომ გახდა, მომავალი მომღერალი, დასთან, თინასთან ერთად, თბილისში წაიყვანეს. ქეთოს ადრიდანვე აღმოაჩნდა მუსიკალური ნიჭი.

1918 წელს, ახლადგახსნილ კონსერვატორიაში მოეწყო, სადაც 1921 წლამდე სწავლობდა. აქ მისი ერთ-ერთი მასწავლებელი ზაქარია ფალიაშვილი იყო.

1928-1930 წლებში ქეთო ჯაფარიძე გერმანიაში სწავლობდა. მისი დებიუტი, თბილისში, 1935 წელს შედგა. ოპერის თეატრის ხალხით სავსე დარბაზში. მხურვალე ტაშით გააცილა მაყურებელმა სცენიდან. ამის შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, სიყვარული და თაყვანისცემა არ მოჰკლებია ქართველი მსმენელისა. და არა მარტო ქართველი მსმენელისა.

1937 წელს ლენინგრადის სახელმწიფო ესტრადაში მიიწვიეს. სულ ჩქარა კი მისი სახელი მთელს საბჭოთა კავშირში გახდა ცნობილი. 1939 წელს, საბჭოთა კავშირში პირველად ჩატარდა ესტრადის მომღერალთა I საკავშირო კონკურსი. ქეთო ჯაფარიძემაც გადაწყვიტა მიეღო მონაწილეობა, სადაც ორი სიმღერით წარსდგა. შეასრულა რუსული რომანსი და ბოშური სიმღერა. შედეგი ბრწყინვალე იყო. იგი გახდა კონკურსის გამარჯვებული და I პრემიის ლაურეატი.

1942 წლიდან მიიწვიეს საკავშირო საკონცერტო გაერთიანებაში. ორკესტრი გამოდიოდა ფრონტზე – საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. კრემლში, როგორც აღვნიშნეთ, მის სიმღერებს დიდი სიამოვნებით უსმენდა იოსებ სტალინი. ქეთო ჯაფარიძე სხვა მომღერლებთან ერთად, მიღებაზეც იყო მასთან.

1950 წელს, მომღერალი სამშობლოს დაუბრუნდა და აქაური ცხოვრების ორომტრიალში ჩაება. 1957 წლამდე სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი იყო. აქტიური მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო-საესტრადო ორკესტრის შექმნაში. იმ წლებში ცოლად გაჰყვა შესანიშნავ ქართველ პოეტს იოსებ გრიშაშვილს.

„ქეთოს ყველაზე მეტად ქალური მოკრძალება და სიფაქიზე ამშვენებდა, რაც, თავის დიდ ადამიანობასა და სილამაზესთან ერთად, უხვად ჰქონდა მომადლებული“ – იგონებს ცნობილი პედაგოგი ლადო ჯაფარიძე.

ოჯახის შექმნის შემდეგ, ქეთო ჯაფარიძე საყვარელი ქმრისა და ოჯახის მოვლა-პატრონობას უნდებოდა. მათ ოჯახს სტუმარი არ აკლდა. მითუმეტეს,რომ ქეთო სტუმართმოყვარე, გულუხვი და გულკეთილი, ყველასათვის საყვარელი და პატივსაცემი ქალბატონი ბრძანდებოდა.

განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო ქეთოს და, რუსთაველის თეატრის მსახიობი თინა ჯაფარიძე და მისი მეუღლე,ასევე ცნობილი მსახიობი ემანუელ აფხაიძე. იოსებ გრიშაშვილის ბედი ის იყო, რომ ხანდაზმულობის ჟამს იგი შეხვდა შესანიშნავ ერთგულ მეუღლესა და მეგობარს, ქეთო ჯაფარიძეს. თუ მანამდე ნამდვილ ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა პოეტი, ქეთოსთან შეუღლების შემდეგ,წყნარი,ნანატრი ცხოვრების ჟამი დაუდგა“,– იგონებს ლადო ჯაფარიძე.

ქეთომ იშვიათი მეგობრობა გაუწია პოეტს. პატარა ბავშვივით უვლიდა და თავს ევლებოდა. ემანუელ აფხაიძეს ქეთოსთვის იუბილეზე ოხუნჯობით უთქვამს „შენ მითი ხარ მოგებული, სოსოზე ხარ მორგებული“-ო.

ეს იუბილე 1952 წლის 27 იანვარს მოეწყო ხელოვნების მუშაკთა სახლში, მახარაძის ქუჩაზე. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი... მომღერალი ღირსეულად შეამკეს ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა. ქეთომ კი თავისი ლამაზი სიმღერით გადაუხადა მადლობა. როგორც აღვნიშნეთ, ემანუელ აფხაიძეც გამოვიდა და დაიწყო „იშვიათ მომრერალს, საუცხოო ადამიანს, ძვირფას ქეთოს“ და წაიკითხა ლექსი:

„ეჰ რამდენი ტაში გახსოვს და ფულები აღებული,
სხვაზე ზრუნავ! ეს ცხოვრება შენ ასე გაქვს აგებული,
ვინც სხვას შველის, არასოდეს არ იქნება წაგებული,
თუმცა ბევრჯერ გაგამწარეს, დაგიკოდეს, მოკლეს გული,
მაგრამ მაინც მსუქნადა ხარ, სულ არა ხარ მოკლებგული.
არ გვენახოს შენი გული, გადაღლილი, შენიღბული,
შენ იმით ხარ მოგებული, სოსოზე ხარ მორგებული...“

საიუბილეო საღამო ქეთოსთვის „გედის სიმღერა“ აღმოჩნდა. ამის შემდეგ ის კონცერტებზე აღარ გამოსულა და მთელი დარჩენილი სიცოცხლე ძვირფასი მეუღლის მოვლა-პატრონობას შეალია. იგი მთელ დღეებს ოჯახურ ცხოვრებას და სოსოს ჯანმრთელობაზე ზრუნვას ახმარდა.

მივმართოთ ისევ ლადო ჯაფარიძის მოგონებათა წიგნს: „დღეს სოსო გრიშაშვილთან ვიყავი. კარგა ხანია აღარ მინახავს. ვერაა კარგად, დავურეკე და ტელეფონთან ქეთო მოვიდა,– ცუდადაა, გენაცვალე, მითხრა მან, მაგრამ თუ მოხვალ, არ იქნება ურიგო, ეგებ ესიამოვნოს შენი ნახვა.

წავედი. კარი მოსამსახურემ გამიღო, მაგრამ ზარზე ქეთომაც გამოიხედა. მომეგება გულთბილად და მისაღები ოთახისკენ გამიძღვა. იქ განიერ დივანზე იჯდა სოსო, მარტო, როგორც ყოველთვის, სუფთად ჩაცმული, ლამაზი პიჟამოს ქვეშ თეთრად გაქათქათებული პერანგი მოუჩანდა...

– სოსო, გენაცვალე, აი რა გახარო! – მიმართა ქეთომ, შეხედე, ვინ მოვიდა! შენი ლადო! ხომ იცანი? მიესალმე გენაცვალე, შენს ლადოს...

სოსომ თავი ასწია და გაქვავებული სახე ჩემსკენ მოაბრუნა,ნელა,გაჭირვებით... კარგად დამაკვირდა, წარბები შეჭმუხნა, თითქოს მეხსიერებას იშველიებდა და უეცრად... ძირს დაშვებული მკლავები გამომიშვირა, მომკიდა ხელი, მიმიზიდა და გულში ჩამიკრა.

–ეჰ, ამ საბრალოს ისეთი უბედურება ეწვია, რომ ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებს,– ამბობს აცრემლებული ქეთო,– მაგის ცოდვით აღარა ვარო.

როდესაც იოსებ გრიშაშვილი გარდაიცვალა 1965 წელს, ქეთომ დასაფლავებაზეც და წლისთავზეც თავი მოუყარა პოეტის ყველა მეგობარსა და პატივისმცემელს და გარდაცვლილი მოიგონეს ისე, როგორც პოეტმა ერთ ლექსში თქვა:

„ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აყღერეთ თარი“.

მას შემდეგ ქეთოსაც არ უცოცხლია დიდხანს, 1968 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

კლიმენტი სუთიაშვილი

სურამის ხედი იტრიის მაღლობიდან. ზვიად ავალიანის ფოტო.

პრეზენტაცია თემაზე: მითები, ევროკავშირისა და ნატოს შესახებ

ცხრამუხის ბიბლიოთეკაში, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ შეხვედრა გაიმართა. პრეზენტაცია სახელწოდებით „მითები ევროკავშირისა და ნატოს შესახებ“ აუდიტორიას მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების უფროსმა ნინო სუხიაშვილმა წარუდგინა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი მაკა დიდებულიძე, ბიბლიოთეკის ამერიკული კუთხის კოორდინატორი ქეთევან მეტრეველი, ცხრამუხის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, დაინტერესებული პირები.

გაიმართა საინტერესო დისკუსია. შეხვედრის ინიციატორებმა უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს და იმსჯელეს იმ პოზიტიური შედეგების შესახებ, რაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევას ახლავს თან.

შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებით და მხარდაჭერით, ასევე ბიბლიოთეკის ამერიკის კუთხის „მობილური პროგრამა სოფლებისთვის“ ტექნიკური მხარდაჭერით მოეწყო. საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეების ინფორმირებას ევროატლანტიკური სტრუქტურების და ინტეგრაციის პოზიტიური შედეგების შესახებ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში კვლავაც გაგრძელდება.

პრესკონფერენცია ადგილობრივ მედიასაშუალებებთან

„საქართველოს სასოფლო დარბაზმა“ პროექტის “სასოფლო დასახლებების თვითორგანიზება ადგილობრივი განვითარებისთვის” ფარგლებში, რომელიც დაიწყო ევროპის ფონდის მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს დაფინანსებით, 13 აგვისტოს, ქ. ხაშურში, გამართა პრესკონფერენცია ადგილობრივ მედიასაშუალებებთან. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ხაშურის საკრებულოს მაჟორიტარი წევრები, მერის წარმომადგენლები და ხაშურის სასოფლო დარბაზის წევრები.

პროექტის დირექტორმა ამირან გიგინეიშვილმა ისაუბრა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. პროექტის მიზანია, დასახლების საერთო კრების ამოქმედებით, ხელი შეეწყოს ხაშურის, სენაკისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სოფლების მოსახლეობის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მნიშვნელოვნად ამაღლებას, დასახლებათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

D

იყიდება

ბორჯომში, ქალაქის ცენტრში, კოსტავას ქ. №11-ში, იყიდება ერთოთახიანი იზოლირებული ბინა, სარდაფით. 42 კვმ.
ტელ: 599 57 32 20 - ნუგზარი.
ფასი შეთანხმებით.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.